ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5437366

ნომერი: AR1828148

თარიღი : 28.05.2021

გაცემის თარიღი : 07.06.2021

გაცნობის თარიღი : 07.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 31ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ელიზბარაშვილი პ/ნ 01002011119
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 1 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 28 მაისს №AR1828148 განცხადებით მომართა დავით ელიზბარაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, №31ბ-ში, №01.11.03.003.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 17 მაისიდან 2021 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საოფისე ფართობად 1067.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1066.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 247.3 კვ.მ-ის ნაცვლად 258.5 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 5992.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5976.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 387.8 კვ.მ-ის ნაცვლად 404.9 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 7736.1 კვ.მ-ის ნაცვლად 7747.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებლის განმარტებით საზაფხულო ფართობი რჩება უცვლელი.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ 0.00 (სასაწყობე შენობის გეგმა) და +4.00 ნიშნულების გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებაში და საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 1066.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 258.5 კვ.მ., სასაწყობე ფართობად 5976.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად 404.9 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად - 7747.0 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 (სასაწყობე შენობის) და +4.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406291 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.